აგვისტო, 2022

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ივლისში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 9.7% შეადგინა.
- აგვისტოში წლიური ინფლაცია 10.9%-ს გაუტოლდა.
- აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.6%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.2%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი



ივლისში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 9.7%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ივლისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 9.7% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 8.1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.9%-ს შეადგენს.

წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, 2022 წლის აგვისტოში ინფლაციის დონე 10.9%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. 2022 წლის ივლისში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 11.8% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.

ივლისში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის ივლისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 12.2%-ით, ხოლო ხარჯები 8.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 86.4 მლნ ლარით, ხოლო ასევე უარყოფითი მთლიანი სალდო 374.5 მლნ ლარით განისაზღვრა.





ივლისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის ივლისთან მიმართებით, 2022 წლის ივლისში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 6.5%-ით მოიმატა და 41.3 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 20.0%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 6.1%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.1%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 24.1% გაცემულია მრეწველობის დარგში, 19.7% - ვაჭრობის, 15.5% - მშენებლობის, 11.8% - უძრავი ქონების ოპერაციების, 8.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-ივლისი



იანვარ - ივლისში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.
2022 წლის იანვარ - ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტმა 36.4%-ით, ხოლო იმპორტმა 34.8%-ით მოიმატა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული, რამაც (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10,188 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 35.3%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა პერუში (950.2%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ყაზახეთში (136.1%-ით), აშშ-ში (115.2%-ით), სომხეთში (96.3%-ით), ბულგარეთში (84.7%-ით), თურქეთსა (54.9%-ით) და ჩინეთში (29.4%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (21.1%-ით).
საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა აღინიშნა ელექტროენერგიის (337.3%-ით), აზოტოვანი სასუქების (236.6%-ით), ფეროშენადნობის (55.0%-ით), მსუბუქი ავტომობილების (49.3%-ით), სპილენძის მადნების (33.9%-ით), ტრიკოტაჟის ნაწარმის (20.0%-ით) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - ივლისი)



ფულადი გზავნილები (%)
ივლისი



ივლისში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ივლისში საქართველოში ფულადი გზავნილები 46.8%-ით გაიზარდა და 306.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ივლისის თვეში გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 32.9%) და ევროკავშირის ქვეყნები (29.9%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბელარუსიდან (1,244.1%-ით), სომხეთიდან (549.8%-ით), ყირგიზეთიდან (413.6%-ით), ტაჯიკეთიდან (257.3%-ით), უზბეკეთიდან (152.4%-ით), რუსეთიდან (150.8%-ით), ყაზახეთიდან (102.8%-ით), საუდის არაბეთიდან (86.5%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (80.6%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - ივლისი



2022 წლის აგვისტოში საერთაშორისო რეზერვებმა 4,261 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წლის აგვისტოში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,261 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 7.3%-ით მეტია, წინა თვესთან მიმართებით კი 2.5%-ით მეტი.

2022 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 70.0 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო 40.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.





2022 წლის ივლისში* მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის ივლისში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 718,401 შეადგინა, რაც 176.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც ივლისის თვეში 597,887 იყო (ზრდა წინა წლის ივლისის ანალოგიურ მაჩვენებელთან 158.9%). ივლისში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (156,737, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან +525.5%), სომხეთიდან (103,906, ზრდა +427.3%) და თურქეთიდან (95,989, ზრდა +173.9%).

2022 წლის ივლისში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 476.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 131.9%-ით მეტია 2021 წლის ივლისის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ივლისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა კლების ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ივლისში სარეზერვო ფულის მასა 3.0%-ით შემცირდა. ფულის M2 აგრეგატმა 14.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 7.6%-ს გაუტოლდა. აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 10.9% შეადგინა.





ივლისში*, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ისე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა. 2022 წლის ივლისში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.13%-ული პუნქტით შემცირდა და 56.1%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 2.52%-ული პუნქტით მოიკლო და 45.9% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის ივლისში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.6%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.0%-ით შემცირდა.





ივლისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.7%-ული პუნქტით გაიზარდა.

2022 წლის ივლისში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.4% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის ივლისის მდგომარეობით 5.5% შეადგინა, 0.5%-ული პუნქტით მეტი წინა წლის ივლისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

აგვისტოში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6%-ით, ევროს მიმართ 3.2%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 6.3%-ით გამყარდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის აგვისტოში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 12.3%-ით, ევროს მიმართ 30.4%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 138.7%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

აგვისტოში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2022 წლის აგვისტოში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 80.2% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (9.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა* და რუსეთს*, 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 13.0%-ით, ხოლო რუსეთში 15.1%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, აგვისტო



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
აგვისტო, 2022



აგვისტოში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, 2022 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა რუსული რუბლი (21.4%-ით), სომხური დრამი (21.3%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით), ხოლო თურქული ლირა (52.9%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	10.3	6.9	6.9	12.0	9.6	18.0	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	31.2	24.0	25.6	32.6	31.2	39.8	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	12.8	12.3	12.8	12.5	13.9	13.9	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.0	10.0	10.0	10.0	10.5	10.5	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.1	3.1	3.1	3.1	3.1	3.1	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	204 893.0	209 749.8	206 691.2	207 337.5	229 487.0	168 840.5	183 418.8	193 065.3	308 140.1	505 708.1	427 354.6	306 023.4	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	335.1	373.6	411.2	430.4	419.5	331.3	429.0	411.4	415.7	522.6	448.4	542.2	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	868.1	958.3	936.2	1 033.3	1 050.3	800.9	1 019.1	925.7	992.3	1 179.1	1 056.3	1 114.0	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-533.0	-584.7	-524.9	-603.0	-630.8	-469.6	-590.1	-514.3	-576.6	-656.5	-607.8	-571.8	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 116.7	4 076.6	3 959.0	3 928.5	4 272.1	4 078.1	3 992.9	4 030.6	3 826.4	3 855.2	3 922.4	4 156.7	4 260.7
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1 296.6	1 300.5	1 278.7	1 420.0	1 707.4	1 485.1	1 292.1	1 731.5	1 263.2	1 697.9	1 707.5	1 424.4	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 113.9	1 208.4	1 303.1	1 256.0	1 934.4	1 185.8	1 226.2	1 413.1	1 350.9	1 377.3	1 277.2	1 510.8	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	308.1	479.9	248.2	296.6	798.8	193.9	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.